ა. ღოღობერიძეს გააქვს 3 ბურთი

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი). 4:2 (2:1).
თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 3 აგვისტო.
მსაჯი: მ. ბელიანინი (მოსკოვი).

თბილისის “დინამოსა” და ლენინგრადის “ზენიტის” შეხვედრა მეტად საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს ამ დღეს აკლდათ მარღანია, სარჯველაძე, ჯოჯუა, ზაზროშვილი და თოდრია, გუნდმა თამაში კომბინაციურად, შეთანხმებულად და გააზრებულად ჩაატარა, განსაკუთრებით მატჩის დასაწყისი და ბოლო ნაწილი.

შესანიშნავად ითამაშეს ღოღობერიძემ და ვარდიმიადიმ. პირველი ძნელ მდგომარეობაშიც კი ახერხებდა ბურთის დამუშვებას და, როგორც ყოველთვის, სრული ძალით იბრძოდა გუნდის წარმატებისათვის. შესამჩნევად გამოაკეთა თამაში ჭკუასელმა, აქტიური იყო ნახევარდაცვა ანთაძე–კილაძე, მაგრამ ზოგჯერ თავდასხმით ზედმეტად გატაცებული ზურგს უკან რჩებოდათ მარიფტინი და ა. ივანოვი, რომლებიც სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ “დინამოს” კართან. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე კიტიამ.

ჯერ კიდევ დიდ ნაკლად ეტყობა თბილისის “დინამოს” ინდივიდუალური თამაში. კერძოდ, კილაძე და განსაკუთრებით მახარაძე ხშირად უმიზნოდ და უსარგებლოდ ატარებდნენ ბურთს მანამ, სანამ არ დაკარგავდნენ მას. გარდა ამისა, აღნიშნულ შეხვედრაში დინამოელები სუსტად თამაშობდნენ თავით. “ზენიტის” თავდამსხმელები თბილისელთა დაცვის წინააღმდეგ მაღალი ბურთებისათვის ბრძოლაში მეტწილად გამარჯვებული გამოდიოდნენ.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით წარიმართა. უკვე მე–5 წუთზე ღოღობერიძემ მიიღო მაღალი გადაცემა მარჯვნიდან და თავური გარტყმით ანგარიში გახსნა. 2 წუთის შემდეგ ძიაპშპამ არაზუსტად გადააწოდა კიტიას ბურთი, რომელსაც დაეუფლა კომაროვი და საპასუხო გოლი გაიტანა – 1:1.

დინამოელთა იერიშებში ზოგჯერ 6–7 მოთამაშე იღებდა მონაწილეობას. 33–ე წუთზე კ. გაგნიძე სწრაფად გაიჭრა მოწინააღმდეგის კარისაკენ, მაგრამ მცველებმა იგი ხელით დააკავეს. 11 მეტრიანი საჯარიმო ღოღობერიძემ ზუსტად გამოიყენა და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:1.

თამაშის მეორე ნახევარი სტუმრების შეტევით დაიწყო და მალე მარიუტინმა, ისარგებლა რა ანთაძისა და პანიუკოვის შეჯახებით, გაიტანა ბურთი. ანგარიში კვლავ გათანაბრდა – 2:2.

ლენინგრადელებს ერთხანს კიდევ ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ დინამოელებმა კარგად მოიგერიეს მათი იერიშები. მე–12 წუთზე მახარაძე სწრაფად და მოულოდნელად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, ზედ პირით ხაზზე ოსტატურად დაამუშავა ბურთი და იგი ღოღობერიძეს გადააწოდა ცენტრში. თბილისელთა კაპიტანმა შეუჩერებლივ, ძლიერი დარტყმით ლ. .ივანოვი აიძულა მესამე ბურთი გამოეტანა ბადიდან.

25–ე წუთზე ლენინგრადელებს მიეცათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ გარტვიგმა 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა.

თამაშის დასასრულამდე დინამოელებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში: გაგნიძემ კარგად გადასცა კარის წინ ბურთი კილაძეს, რომელიც მეკარე ლ. ივანოვთან ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

საინტერესო თამაში დამთავრდა თბილისის “დინამოს” წარმატებით.

თბილისელებმა გაიმარჯვეს დუბლიორთა შეხვედრაშიც (5:0).

ბ. ქორქია.
“ლელო”, 10 აგვისტო 1951 წ.